საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ინოვაციური და სტრატეგიული აგრო ფოტოვოლტაიკური სისტემის ინტეგრირება. მზის პანელების დახრის კუთხე მერყეობს 85- 90 გრადუს შორის, ისე რომ მისი მონტაჟის შემდგომ ვერ მოხდება კ3 კოეფიციენტისთვის განსაზღვრული ტერიტორიის გადაფარვა

აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მიწის რესურსის ორმაგ, სინერგიულ ათვისებას — სუფთა ენერგიის გენერაციასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების/გამწვანების ერთდროულ განვითარებას. სისტემის საინჟინრო გადაწყვეტა ითვალისწინებს მზის პანელების მონტაჟს 45-გრადუსიანი დახრის კუთხით. აღნიშნული პარამეტრი შერჩეულია აგრონომიული და ოპტიკურ-თერმული კვლევების საფუძველზე, რათა სრულად შენარჩუნდეს მცენარეთა ვეგეტაციისთვის აუცილებელი სასიცოცხლო პირობები.

მისი გამოყენების დროს ხდება ელექტროენერგიის და წყლის დაზოგვა- მზის პანელების მიერ უზრუნველყოფილი ჩრდილი ამცირებს ნიადაგის ტენიანობის აორთქლებას 20-30%-ით. ეს ამცირებს ხელოვნური მორწყვის საჭიროებას და ინარჩუნებს როგორც მწვანე საფარს ასევე კულტურებს გვალვიან პერიოდებში. დაცვა ექსტრემალური ამინდისგან: პანელები მოქმედებენ როგორც ფიზიკური ფარი, იცავს ნაზ მცენარეებსა და ხილს სეტყვისგან, ძლიერი ნალექებისგან, ყინვისგან და მკაცრი ულტრაიისფერი გამოსხივებისგან. გაუმჯობესებული მიკროკლიმატი: პანელების ქვეშ თერმული სტრესი მცირდება შუადღის სიცხის დროს და ღამით ოდნავ მეტი სითბო შენარჩუნდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე მოინიშნა არეალი აგრო ფოტოვოლტაიკის ინოვაციური და სტრატეგიული მეთოდის გამოყენებისთვის. დამონტაჟდება კონსტრუქცია რაზედაც განთავსდება მზის პანელები ზემოთაღნიშნული ტექნოლოგიით